



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

ო ქ მ ო №7

ქ. ბათუმი

2019 წლის 24 მაისი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს ო რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა სირაბიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
დემეტრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
თემურ კახიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;

ანზორ დევაძე საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;

დავით მახარაძე საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილე;

ნატალია ძიძიგური საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;

ნოდარ დუმბაძე საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;

რაულ თავართქილაძე საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარე;

არჩილ მამულაძე საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარის მოადგილე;

ელგუჯა ანდრიაძე საკრებულოს წევრი;

თამაზ დევაძე საკრებულოს წევრი;

მუხამედ ართმელაძე საკრებულოს წევრი;

როინ ზოიძე საკრებულოს წევრი.

არ ესწრებოდნენ:

ომარ მახარაძე საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

მირდატ ქამადაძე საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;

ნერიმან ცინცაძე საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;

ირაკლი თოფურიძე საკრებულოს წევრი;

ლევან ანთაძე საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - თ. პეტრიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ე. ლომაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეთერ ლომაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მ. ქიძინიძე;
- ქ. ბათუმში მცხოვრები მოქალაქეები: ირაკლი ჯანყარაშვილი და ვალერიან ნებუნიშვილი;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე; იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შ - ე. ჭოლიკიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე; ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოსულია ირაკლი ჯანყარაშვილისა და ვალერიან ნებუნიშვილის განცხადებები 24 მაისის სხდომაზე საკრებულოს რეგლამენტით სიტყვით გამოსვლის უფლების თაობაზე, რომლებსაც აცნობა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების განხილვის შემდეგ მიეცემათ გამოსვლის უფლება. მადლობა გადაუხადა მოქალაქეებს აქტიურობისათვის. ასევე აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხის - „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღწერის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ირგვლივ შემოსულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წერილი, რომელიც ითხოვს საკითხის დაზუსტების მიზნით უკან დაბრუნებას. ამდენად დღის წესრიგიდან წარმოდგენილი საკითხი ამოღებულ უნდა იქნას.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ წამოაყენა წინადადება დღის წესრიგიდან „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის შპს „ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის კლუბი „ბათუმი“-ს დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ამოღების თაობაზე, რადგან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ლ. კომახიძის დანიშვნის შემდეგ მისი წინადადება იყო სპორტული კლუბების გასხვისება და კერძო ინვესტიციების მოზიდვა, მაგრამ სამწუხაროდ სულ სხვა რეალობაში აღმოჩნდა,

რომელიც ითხოვს შპს „ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის კლუბი „ბათუმის“ დაფუძნებას.

სხდომის თავმჯდომარემ ნ. დუმბაძის წინადადება, საკითხის ამოღების თაობაზე დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 20 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 4 (ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე, რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)
წინააღმდეგი - 16

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს ცვლილების (მეოთხე საკითხის ამოღებით) გათვალისწინებით გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, სვიშევსკის ქ.N1-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

2. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

3. „მუნიციპალური პროგრამის „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის“ ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინის საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

4. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

5. „მერების შეთანხმებაზე „კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერთების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეთერ ლომაძე)

6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის შპს „ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის კლუბი „ბათუმი“-ს დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის
სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე)

7. „ქალაქ ბათუმში, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩაზე არსებული წრიულიდან გიორგი ანწუხელიძის ქუჩამდე არსებული ქუჩისთვის რეჯებ ნიჟარაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

8. „ქალაქ ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ.N5-ში განთავსებულ ოთარ ჭილაძის მემორიალურ დაფაზე თამაზ ჭილაძის სახელის დამატების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

9. „ქალაქ ბათუმში, ალ. ყაზბეგის ქ.N21-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ჯემალ წულუკიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
- ელენე ჭოლიკიძე)

11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №70 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
- ელენე ჭოლიკიძე)

12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 20 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 2 (ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ - ს. თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ შეახსენა არა ერთხელ გაკეთებული განცხადებები ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით ინფრასტრუქტურული პროექტების მოუწესრიგებლობის გამო. მოქალაქეებს გონიოს დასახლებაში, კვარიათში, აეროპორტში, ადლიასა და ანგისაში გამოტანილი აქვთ სესხები საოჯახო სასტუმროების მოწყობის თაობაზე, მაგრამ ტურისტების მიღება უჭირთ. გამომდინარე აქედან მერიის სამსახურებს მიმართა ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად მოსაწესრიგებლად. ასევე ძველი ბათუმის ტერიტორიაზე მრავლადაა ფასადებზე რეკლამები, სადაც აწერია სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, რის გამოც შესაბამისმა სამსახურმა მიიღოს ზომები აღმოსაფხვრელად.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქში მიმდინარეობს მიწისქვეშა გათხრითი სამუშაოები, მაგრამ სათანადოდ ასფალტის საფარი არ იგება. ზედამხედველობის სამსახურის მიერ უნდა დაწესდეს კონტროლი. მიმდინარე სამუშაოების განხორციელებისას უსაფრთხოება უნდა იყოს დაცული.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომას სისტემატურად არ ესწრება ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი. ასევე მას ჰქონდა იმის მოლოდინი, რომ იქნებოდა დღევანდელ სხდომაზე კიდევ ერთი საკითხი, მაგრამ სამწუხაროდ ასე არ მოხდა. მიმდინარე პროცესები ო. მახარაძისადმი საკრებულოს ინსტიტუტს აკნინებს, მას ჰქონდა იმედი, რომ ფრაქცია „ქართული ოცნებიდან“ მოისმენდა განცხადებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ სამწუხაროდ არავის არ გამოუთქვამს თავისი მოსაზრება. საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართა, რომ ის სექსუალურ ძალადობაში მყოფ პირს იფარავდა, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არ აპირებდა ამ თემის გარშემო განცხადების გაკეთებას,

იმიტომ რომ საქმე გამოძიების პროცესშია, საკრებულოს ყველა წევრი, აპარატის თანამშრომლები არის ყველა მისი მეგობარი. საკრებულო და პარტია გმობს ყოველგვარ ძალადობას, ვინც არ უნდა იყოს, ყველა მკაცრად დაისჯება, მაგრამ პიროვნებაზე წინასწარ ვერდიქტის გამოტანა არ შეიძლება. მან ასევე აღნიშნა, რომ გამოძიების შედეგების საფუძველზე მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება.

საკრებულოს წევრმა დ. ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 19 მაისს შუალედური არჩევნებისას ხულოში მოსახლეობამ გააკეთა სწორი არჩევანი და პარტია „ქართულმა ოცნებამ“ 70%-ზე მეტი მიიღო, რის გამოც მადლობა გადაუხადა მოსახლეობას და წარმატებები უსურვა.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ ბათუმის მერთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დღეს ის იმყოფება შეხვედრაზე შერატონში უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, რის გამოც არ ესწრება სხდომას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

1.„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, სვიშევსკის ქ.№1-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა 2019 წლის 22 მაისის №1288/02 (№14469/25) წერილით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში შესული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 25 აპრილის MES 4 1900483064, 10 მაისის MES 2 19 005 41742 და 13 მაისის MES 6 19 00557479 წერილებით დასმული იყო საკითხი ქ. ბათუმში, სვიშევსკის ქ. №1-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (ს/კ 05.30.10.293) „განათლებისა და მეცნიერების ქალაქის“ პროექტის განხორციელების შესახებ, რომელიც მოიცავს ერთ სივრცეში როგორც საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის, ასევე თანამედროვე საბიბლიოთეკო, საკონფერენციო, საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიური ლაბორატორიების არსებობას. აღნიშნული ტერიტორიის ერთიანი კონცეფციით განვითარების და ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შესაძლებლად მიიჩნია განხორციელებულიყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, სვიშევსკის ქ. №1-ში მდებარე 70352,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობანაგებობების, №1-დან №16-ის ჩათვლით (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.30.10.293) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ეთხოვა მითითებული უძრავი ქონების მუნიციპალურ საკუთრებად აღრიცხვისთვის საჭირო პროცე-

დურების განხორციელება, შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ წერილით (№25/10115; 21.05.2019წ.) მიმართა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ზემოთაღნიშნული უძრავი ქონების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოცემის შესახებ, შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 21 მაისის №1/1-1281 ბრძანებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით საკუთრებაში გადმოეცა ქალაქ ბათუმში, სვიშევსკის ქ. №1-ში მდებარე 70352,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები №1-დან №16-ის ჩათვლით (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.30.10.293), რომელიც საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით. აქვე აღსანიშნავია რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილის თანახმად აუცილებლობას წარმოადგენს ზემოაღნიშნული ტერიტორიის შემოწმება და განაღმვითი სამუშაოების ჩატარება (დაინტერესებული მხარის მიერ). ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს მოთხოვნილი უძრავი ქონება „განათლებისა და მეცნიერების ქალაქის“ პროექტის განსახორციელებლად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

2. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2019 წლის 30 იანვრის №01-01-10/471 (№2894/25) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის რეაბილიტაციის

მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2017 წლის 16 ოქტომბრის №133 განკარგულებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაევალა საავტომობილო გზის „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) განთავსების ზოლში მოხვედრილი მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირება კოორდინატების დადგენა და აზომვითი ნახაზების მომზადება, ასევე კერძო საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების ან/და შენობა-ნაგებობების ღირებულების დადგენა და შესაბამისი პროცედურების განხორციელება. საავტომობილო გზის „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) განთავსების ზოლში მოქცეული იყო სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული 7 ერთეული მიწის ნაკვეთი (კაპანდიდის დასახლებაში - ჭოროხის ქ. №30-ში მდებარე 1228,0 კვ.მ. - საკადასტრო კოდი №05.35.25.008; დაბა ხელვაჩაურში მდებარე 407,0 კვ.მ. - საკადასტრო კოდი №05.35.25.249; დაბა ხელვაჩაურში მდებარე 2659,0 კვ.მ. - საკადასტრო კოდი №05.35.25.250; დაბა ხელვაჩაურში მდებარე 356,0 კვ.მ. - საკადასტრო კოდი №05.35.25.251; დაბა ხელვაჩაურში მდებარე 457,0 კვ.მ. - საკადასტრო კოდი №05.35.26.382; დასახლება ხელვაჩაურში მდებარე 3416,0 კვ.მ. - საკადასტრო კოდი №05.35.25.028 და დაბა ხელვაჩაურში მდებარე 3299,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - საკადასტრო კოდი №05.35.26.383).

„ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის მშენებლობის არეალში მოხვედრილი უძრავი ქონების მესაკუთრეებისათვის-/მოსარგებლეებისათვის კომპენსაციის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2018 წლის 5 მარტის №22 განკარგულების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაევალა საავტომობილო გზის არეალში მოხვედრილი მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებისათვის/მოსარგებლეებისათვის კომპენსაციის გაცემა. კომპენსაციის გაცემის მიზნით საჭირო გახდა ამ მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში აღრიცხვა. აღნიშნულის განსახორციელებლად კი სახელმწიფოს მიერ მათი დამატებითი ქონების სახით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემა ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ წერილებით (№25/1473; 05.02.2019წ. და №25/6903; 16.04.2019წ.) მიმართა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადმოცემის შესახებ, შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 26 აპრილის №1/1-1033 და 01 მაისის №1/1-1055 ბრძანებებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ, დამატებითი ქონების სახით საკუთრებაში გადმოეცა მოთხოვნილი 7 ერთეული მიწის ნაკვეთი, რომლებიც საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს მოთხოვნილი მიწის ნაკვეთების „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის მშენებლობის განსახორციელებლად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

დასადაგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოთხოვნის: 3. „მუნიციპალური პროგრამის „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის“ ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინის საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 აპრილის №8 დადგენილებით გათვალისწინებულია „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მერიის საბინაო ფონდიდან გამოყოფილი საცხოვრებელი ბინები გადაეცემა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოჯახებს და იმ ოჯახებს, რომელთა ოჯახის უფროსი წევრები (დედა ან/და მამა) დაბადებულია ქ. ბათუმში, მაგრამ მიმდინარე პერიოდისათვის საცხოვრებელი ადგილი რეგისტრირებულია საქართველოს სხვა რეგიონში და რომლებსაც ჰყავთ 7 (შვიდი) და მეტი შვილი. პროგრამის ბენეფიციარი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება 1 საცხოვრებელი ბინით, რომლის საერთო ფართი შეადგენს 120 კვმ-დან 135 კვმ-მდე. ამასთან ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთა უფროსი შვილის წლოვანება არ აღემატება 23 წელს. ნაშვილობის შემთხვევაში ნაშვილობის ასაკი უნდა შეადგენდეს 3 წელს.

ქვეპროგრამის ბენეფიციარ ოჯახს ბინა გადაეცემა ოჯახის თითოეული წევრის თანასაკუთრებაში (მშობლები და შვილები). კონკრეტული ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინის საკუთრების უფლებით გადაცემა ხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. თანხმობის მიღების თაობაზე საკითხს ამზადებს და საკრებულოს განსახილველად წარუდგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი. ქვეპროგრამის ბენეფიციარ ოჯახს საკუთრების უფლების მოწმობის მიღებიდან მოდევნო 10 წლის განმავლობაში ეკრძალება საკუთრებაში გადაცემული ბინის გაყიდვა, გაქირავება, უფლებრივად დატვირთვა ან სხვა ნებისმიერი ფორმით განკარგვა. ქვეპროგრამის

ბენეფიციარ ოჯახს ბინა გადაეცემა შემდეგ მდგომარეობაში: მოწესრიგებული ფასადი და სახურავი; სან-ტექნიკური დანადგარები (ცივი წყალი, კანალიზაცია, ტრაპი); ჩართული საკომუნიკაციო ქსელები (ცივი წყალი, კანალიზაცია, ტრაპი); ბინის კონტურის კედლები; ბინის შიდა შტრიხები; ფანჯრები; კარები; ტიხრებისა და კონტურის კედლების შელესვა; შეღებილი შიდა კედლები; ელ. გაყვანილობა (თითო ოთახზე ორი ელ. წერტილი); ოთახებში დაგებული ლამინირებული პარკეტი; დამონტაჟებული შიდა კარები; კეთილმოწყობილი სამზარეულო (ავეჯის გარეშე); კეთილმოწყობილი სველი წერტილები, ან გადაეცემა ბინის სარემონტო სამუშაოებისათვის ერთჯერადად გამოყოფილი თანხა - 1 კვმ-ზე 250 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამა არ ითვალისწინებს საცხოვრებელი ბინებით იმ მრავალშვილიანი ოჯახების უზრუნველყოფას, რომლებსაც საქველმოქმედო ორგანიზაციის ან სახელმწიფო ორგანოების მიერ საკუთრებაში საცხოვრებელი უკვე გადაეცათ. ან თუკი საკუთრებაში გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი 150 კვ მეტრი და მეტი. თანაბარი პირობების მქონე ოჯახებს შორის უპირატესობა მიენიჭება სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახს. (უპირატეს ქულად განსაზღვრულია 70 000 ქულა);

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის 2019 წლის 12 აპრილის №3502-25 წერილის შესაბამისად მოწოდებული მრავალშვილიანი ოჯახების სიიდან (სულ სამი ოჯახი), „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამით, საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მიზნით პირველ ეტაპზე შერჩეული იქნა ზვიად ცინცაძის ოჯახი. აღნიშნულ ოჯახს გააჩნია ყველაზე დაბალი სარეიტინგო ქულა 4150.

მრავალშვილიანმა ოჯახებმა, რომელთა მონაცემებიც შეესაბამება დადგენილ კრიტერიუმებს, პროგრამაში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია: შვილების დაბადების მოწმობები; ქორწინების მოწმობა; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

2019 წლის 14 მაისს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას №13716/25 განცხადებით მომართა ზვიად ცინცაძემ და მოითხოვა მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ზვიად ცინცაძეს და გალინა რომანენკოს (მეუღლე) ჰყავთ 7 შვილი, რის დასადასტურებლადაც წარმოდგენილი იქნა დაბადების მოწმობები. ამასთან, დადასტურებულია ის გარემოება, რომ ზვიად ცინცაძის და გალინა რომანენკოს უფროსი შვილის ასაკი არ აღემატება 23 წელს. გარდა აღნიშნულისა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2019 წლის 12 აპრილის №3502-25 წერილით დასტურდება, რომ ზვიად ცინცაძის ოჯახი იმყოფება აღრიცხვაზე 2016 წლის დეკემბრის თვიდან და უფროსი შვილის დაბადების თარიღია 03.11.2005წ.. შესაბამისად, აღნიშნული ოჯახი აკმაყოფილებს ქვეპროგრამის კრიტერიუმებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული 2019 წლის 07 მაისის №156097 (KA011733601143319) წერილის შესაბამისად დასტურდება, რომ ზვიად ცინცაძის (პ/№61006000976) საკუთრების უფლება (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 220 კვმ მიწის ნაკვეთი) რეგისტრირებულია უძრავ ნივთზე მდებარე ქ. ბათუმი, ხიხანის ქ.№61 ა (საკადასტრო კოდი:№05.35.25.192), ხოლო, სხვა ოჯახის წევრების: გალინა რომანენკოს (პ/№61506086083), სოფია ცინცაძის (სერია 1-BK №027915), ზვიად

ცინცაძის (სერია 1-BK №133336), მარიამი ცინცაძის (პ/№61452002540), ლალი ცინცაძის (პ/№61650013145), ნანა ცინცაძის (პ/№61850034886), ანა ცინცაძის (პ/№61450034887) და გიორგი ცინცაძის (პ/№61750048280) სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე არ არის რეგისტრირებული.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ ზვიად ცინცაძის თხოვნა მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს და მათ საკუთრებაში გადაეცეთ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი საცხოვრებელი ბინა: ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ.№1-ში არსებული №11 საცხოვრებელი ბინა (ბლოკი „ბ“; მე-5 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.23.04.051.01.5024.1039) საერთო ფართით 129,0 კვმ. ასევე, გადაეცეთ აღნიშნული საცხოვრებელი ბინის სარემონტო სამუშაოების ფულადი ანაზღაურება - 32 250 (ოცდათორმეტი ათას ორასორმოცდაათი) ლარი, მათ მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრი ა. მამულაძე მიესალმება წარმოდგენილ პროექტს, მან დასვა შეკითხვა, რომ საკუთრებაში გადაცემულ ნივთზე განკარგვის შეზღუდვის უფლება აქვს თუ არა საკრებულოს და რა ნორმატიული აქტებია მითითებული, ასევე პროექტში მითითებულია ფრაზა-ეკრძალვა საკუთრებაში გადაცემული ბინის გაყიდვა, გაქირავება, უფლებრივად დატვირთვა ან სხვა ნებისმიერი ფორმით განკარგვა, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გამოიყენება პირობიანი ან უპირობო განკარგვა. მოცემულ შემთხვევაში განკარგვის ფორმაა პირობიანი და პირობაში წერია, რომ 10 წლის განმავლობაში მოქმედებს გარკვეული სახის შეზღუდვები, რისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ოჯახმა საცხოვრებელი ბინა გამოიყენოს დანიშნულები-სამებრ საცხოვრებლად და არ მოახდინონ რეალიზება და არ ჩააყენონ ოჯახი იმავე პირობებში, როგორშიც დღემდე იმყოფებიან.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 საკრებულოს წევრი
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

4. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2019 წლის 16 მაისის №1225/02 (№13888/25) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ შპს „Lamini -G“ (ს/ნ: 448388708) ითხოვს 49 წლის ვადით შპს „დინამო ბათუმი“-ს (ს/ნ: 245622205) 100%-იანი წილის მართვის უფლებით, ხოლო აღნიშნული შპს-ს კაპიტალიდან გამოტანილი უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით პირდაპირი ფორმით გადაცემას, შემდეგი პირობებით:

1. წილის მართვისა და სარგებლობის მთელი პერიოდის (49 წელი) განმავლობაში ყოველწლიურად გადაიხადოს წილის მართვის/სარგებლობის საფასური 100 000 ლარის ოდენობით;

2. ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში 38 თვის ვადით წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია 200 000 (ორასი ათასი) ლარის ოდენობით;

3. ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში განვითარების კონცეფციის შემუშავება და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის შესათანხმებლად წარდგენა, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- ბავშვთა საფეხბურთო აკადემიას (არანაკლებ 1200 კვ.მეტრი), სადაც განთავსდება საცხოვრებელი ფართი არანაკლებ 40 ბავშვზე, თეორიული მეცადინეობისათვის საჭირო ფართი და ტექნიკური აღჭურვილობა, მწვრთნელებისათვის საჭირო საცხოვრებელი და სამუშაო ფართები, კვების ბლოკი, სამედიცინო მომსახურების ბლოკი, საკონფერენციო დარბაზი და სავარჯიშო დარბაზი;

- ბავშვთა გუნდისათვის დამხმარე ფართს (არანაკლებ 240 კვ.მეტრი), სადაც განთავსდება გასახდელეები, სანიტარული კვანძი, მოსასვენებელი ფართი, მწვრთნელებისათვის სამუშაო ფართი;

- საფეხბურთო კლუბ „დინამო ბათუმი“-სათვის შენობას (არანაკლებ 1250 კვ.მეტრი), სადაც განთავსდება ფეხბურთელთა საცხოვრებელი ფართი, კვების ბლოკი, სამედიცინო მომსახურების ბლოკი, სარეაბილიტაციო ცენტრი, თეორიული მეცადინეობისათვის საჭირო ფართი და ტექნიკური აღჭურვილობა, მწვრთნელებისათვის საჭირო საცხოვრებელი და სამუშაო ფართები, საკონფერენციო დარბაზი და სავარჯიშო დარბაზი;

- საზოგადოებრივი დანიშნულების კვების ობიექტს და მოსაცდელ დარბაზს (არანაკლებ 240 კვ.მეტრი);

- შესაბამის ინფრასტრუქტურას - ლობეებს, განათების, წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემებს;

- ორი სტანდარტული ზომის საფეხბურთო მოედანს:

- ერთ ბალახის საფარიან მოედანს არანაკლებ 6825 კვ.მეტრი ფართის (105*65);
- ერთ ხელოვნურ საფარიან მოედანს არანაკლებ 6825 კვ.მეტრი ფართის (105*65);
- ორ საბავშვო ხელოვნურსაფარიან მინი მოედანს, თითოეული არანაკლებ 1800 კვ.მეტრი (60*30);
- ღია ტიპის აუზს (25*9*1,5);

4. ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე განვითარების გენერალური გეგმის (გრგ) შემუშავება.

5. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 თვის ვადაში უზრუნველყოს საპროექტო ობიექტების ვიზუალური ესკიზის (4 მხრიდან ხედი მოცულობაში, საპროექტო ობიექტების გაბარიტები, ასევე მიწის ნაკვეთზე საპროექტო ობიექტების დასმის გეგმა) მომზადება და შესათანხმებლად მესაკუთრისათვის წარდგენა;

6. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ვადაში უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება და მშენებლობის ნებართვის აღება;

7. ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) თვის ვადაში უზრუნველყოს მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის დაწყება;

8. ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) თვის ვადაში უზრუნველყოს მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობ(ებ)ის ნულოვანი ნიშნულის დასრულება;

9. ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში უზრუნველყოს ბავშვთა სავარჯიშო მოედნების მოწყობა/მშენებლობის დასრულება და ამოქმედება;

10. ხელშეკრულების გაფორმებიდან 28 (ოცდარვა) თვის ვადაში უზრუნველყოს მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობ(ებ)ის ძირითადი მზიდი და არამზიდი კონსტრუქციის მშენებლობის დასრულება;

11. ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში უზრუნველყოს მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის დასრულება და ამოქმედება;

12. სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში, უზრუნველყოს საფეხბურთო კლუბში ყოველწლიურად არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება თანამშრომელთა გასამრჯელოების, ეკიპირების, მივლინებების, შეკრებების, ფეხბურთელთა მკურნალობის, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების, ევროტურნირებზე პროფესიული გუნდის მონაწილეობის, ამხანაგური თამაშებისა და სხვა საოპერაციო ხარჯების დაფინანსების მიზნით;

13. უზრუნველყოს ბავშვთა ფეხბურთის აკადემიის პროფილის შენარჩუნება მუდმივად, წილის მართვისა და მთელი სარგებლობის პერიოდით და მისი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ან/და ფიფა-ს/უეფა-ს სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირება;

14. უზრუნველყოს საფეხბურთო კლუბის მუდმივად უეფა-ს და ეროვნული საკლუბო ლიცენზირების დებულებებისა და სტანდარტების მიხედვით ფუნქციონირება. კლუბი ვალდებულია ყოველწლიურად გაიაროს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობისათვის დადგენილი ლიცენზირება და მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ჩემპიონატებში;

15. ყოველწლიურად უზრუნველყოს მესაკუთრისათვის ფინანსური ანგარიშგების და ვალდებულებების შესრულების შესახებ აუდიტორული დასკვნების წარმოდგენა. დასკვნა გაცემული უნდა იყოს აუდიტორი/აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელსაც გავლილი აქვს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი;

16. სულ პროექტისათვის განახორციელოს არანაკლებ 9 (ცხრა) მილიონი ლარის ინვესტიცია (არ იგულისხმება მე-12 პუნქტით გათვალისწინებული საფეხბურთო კლუბში ყოველწლიურად არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება).

წერილში ასევე აღნიშნულია, რომ ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს, მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების და წილის პირდაპირი წესით განკარგვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული შპს „დინამო ბათუმი“-ს 100% წილი პოზიტიური პირობით, რომელიც მოიცავს არანაკლებ ზემოაღნიშნულ პირობებს და რის თაობაზეც, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2019 წლის 16 მაისის №1225/02 (№13888/25) მოთხოვნის წერილი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2019 წლის 16 მაისის №1225/02 (№13888/25) წერილის საფუძველზე, რომლითაც მოთხოვნილია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-იანი წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრების უფლებით გადაცემა, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ განხორციელდება შპს „Lamini -G“-სათვის (ს/ნ: 448388708) 49 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დინამო ბათუმი“-ს 100%-იანი წილის მართვის უფლებით გადაცემა, ხოლო აღნიშნული საზოგადოების კაპიტალიდან გამოტანილი უძრავი ქონების ასევე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ მოცემული საკითხის განხილვისა და სათანადო გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოადგინა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ დასვა შეკითხვა თუ რამ განაპირობა შპს „Lamini G“ – ზე შპს „დინამო ბათუმის“ 100%-იანი წილით გადაცემა, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2016 წლიდან მიმდინარეობდა მოლაპარაკება კონკრეტულ დაინტერესებულ მხარეებთან კლუბის პრივატიზების თაობაზე, სხვა კომპანიებთანაც იყო მოლაპარაკების პროცესი, თუმცა მათ წერილის შემოტანის შემდეგ სურვილი აღარ გამოუთქვამთ. რაც შეეხება შპს „Lamini G“ მუდმივად აუმჯობესებდა წარმოდგენილ წინადადებას და საბოლოო ჯამში საუბარია მართვის უფლებით გადაცემაზე და არა პრივატიზებაზე.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა, რომ მისასალმებელია დინამო ბათუმის გასხვისების ფაქტი, მას აინტერესებს ინფორმაცია პირობების შეუსრულებლობისას

რა სახის სანქციების გატარებაა შესაძლებელი, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს „დინამო ბათუმი“ გადაეცემა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას მართვის უფლებით, გაწერილი იქნება სანქციები და პირობები იქნება ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

საკრებულოს წევრი ზ. ნაკაიძე მიესალმება წარმოდგენილ საკითხს და აღნიშნა, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში ბათუმის ბიუჯეტიდან შპს „ბათუმის დინამო“ აღარ ფინანსდებოდა.

საკრებულოს წევრი ი. პატარიძე ბათუმის დინამოს გასხვისების საკითხს მიესალმება, მაღლობა გადაუხადა შპს „Lamini G“-ს მონდომებისათვის. ბათუმის დინამო ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იქნება და იბრძოლებს ჩემპიონობისთვის, ასევე აღსანიშნავია, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტი აფინანსებს სხვა 8 კლუბს, რომლების გასხვისებაც ასევე შესაძლებელია.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 2 (მ. ართმელაძე, ნ. მიძიგური)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 5. „მერების შეთანხმებაზე „კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერთების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეთერ ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2011 წელს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი მიუერთდა „მერების შეთანხმების“ ევროპულ ინიციატივას, რომელიც აერთიანებს ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს, რომლებიც ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას გაზარდონ ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენება

მათ დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიებზე. შეთანხმების ხელმოწერნი მიზნად ისახავენ 2020 წლისათვის შეამცირონ CO₂-ის ემისიები მინიმუმ 20%-ით და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ მწვანე ეკოლოგიურად ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის. აღნიშნულ ინიციატივაზე მიერთებით ბათუმის მუნიციპალიტეტმა აიღო ნებაყოფლობითი ვალდებულება თავის სამოქმედო ტერიტორიაზე 2020 წლამდე მინიმუმ 20%-ით შეამციროს სათბური აირების ემისია და 2014 წელს დაამტკიცა „ქ. ბათუმის მდგრადი ენერგეტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს 2020 წლამდე ქ. ბათუმის ტერიტორიაზე, საბაზისო სცენართან შედარებით, სათბური აირების 22%-ით შემცირებას კონკრეტული ღონისძიებების გატარებით ისეთ სფეროებში, როგორც არის: შენობები, ურბანული ტრანსპორტი, გარე განათება, მუნიციპალური ნარჩენები, ჩამდინარე წყლები და გამწვანება.

აღნიშნული გეგმის საფუძველზე, 2014 წლიდან, საერთაშორისო თანამშრომლობით (გრანტი/სესხი) განხორციელდა და მიმდინარეობს შემდეგი პროექტები:

1. **„სუფთა ენერჯის პროგრამა“ - გარე განათების სადემონსტრაციო პროექტი** - USAID/Winrock თანამშრომლობის ფარგლებში, USAID-ის გრანტით განხორციელდა 136 ერთეული ენერგოეფექტური გარე განათების სანათის დამონტაჟება გორგილადის ქუჩაზე. პროექტის ჯამური ღირებულება - 880 000 აშშ დოლარი. პროექტის თანამონაწილეობისათვის, ქ. ბათუმის მერიის მიერ განხორციელდა გორგილადის ქუჩის გაგრძელებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები, ასევე მოეწყო შინდისის გმირების სახელობის სკვერი. სკვერი გაშენებულია 4 ჰა ფართობზე და ადაპტირებულია ევროსტანდარტების შესაბამისად.

2. **ენერგოეფექტურობის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შენობებისათვის** - პროექტი განხორციელდა გერმანიის განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი 300 000 ევროს გრანტის ფარგლებში და ითვალისწინებდა ენერგოეფექტურობის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებას შერჩეულ შენობებში დათბუნების, გათბობა/გაგრილებისა და ენერჯის შესაბამისი წყაროების გამოყენების გათვალისწინებით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადებული კვლევების საფუძველზე დაიწყო ახალი პროექტი - **„ენერგოეფექტური ღონისძიებები და ასევე ევროკავშირის ენერგოეფექტურ სტანდარტებთან დაახლოება“**, რომელიც ხორციელდება გერმანიასა და საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში და რომელსაც გრანტის (გრანტი - 5 მლნ ევრო; ბათუმის მერიის თანადაფინანსება - დაახლოებით 1 მლნ ევრო (გადასახადები, ეზოს კეთილმოწყობა)) სახით დახმარებას უწევს გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW), საგრანტო შეთანხმებაზე ხელმოწერა დაგეგმილია 2019 წლის ზაფხულში. პროექტის პირველი კომპონენტი ითვალისწინებს სადემონსტრაციო პროექტის განხორციელებას ბათუმში, კერძოდ, სხვადასხვა უახლესი ტექნოლოგიების ტესტირებას საჯარო შენობების - 25 საბავშვო ბაღის - ენერგოეფექტური ტექნოლოგიებით მოდერნიზების (რეაბილიტაცია) მიზნით. პროექტის მეორე კომპონენტი გულისხმობს სადემონსტრაციო პროექტის რეპლიკაციას ეროვნულ დონეზე. პროექტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ენერგოეფექტური მასალების მიმართულებით ქართული ბაზრის განვითარება.

3. **„ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“ (WMTR)** - პროექტი ხორციელდება USAID -სა და CENN თან თანამშრომლობით. პროექტის ფარგლებში, ქ.

ბათუმი დამეგობრებულია აშშ ქალაქ გოლდენტან. პროექტით განსაზღვრულია ქ. ბათუმისათვის წყაროსთან სეპარაციის დანერგვის ხელშეწყობა ქ. გოლდენტანის გამოცდილების გაზიარებით და დახმარება ნარჩენების მართვის 5 წლიანი მუნიციპალური გეგმის შემუშავებაში. გეგმა უკვე შემუშავებული და დამტკიცებულია 2018 წელს.

4. **ინტეგრირებული მდგრადი სატრანსპორტო სისტემების განვითარება ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის** - პროექტის მიზანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მდგრადი და ინტეგრირებული მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემების და მობილობის გეგმების განვითარების ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მდგრადი სატრანსპორტო პოლიტიკის ჩამოყალიბებას ეროვნულ დონეზე და მწვანე ურბანული განვითარების პოლიტიკისა და მექანიზმების ფორმირებას. პროექტი ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) დაფინანსებით. განმახორციელებელი პარტნიორები არიან საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია. პროგრამის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული გერმანული კომპანია A+S Consult-მა მოამზადა ქალაქ ბათუმის სატრანსპორტო მოდელი, ბათუმის ინტეგრირებული მდგრადი ურბანული მობილობის განვითარების გრძელვადიან სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, პარკირების სტრატეგია და პოლიტიკა, ველოსისტემის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპტიმიზაციის გეგმა. გარდა ამისა, გაეროს განვითარების პროგრამა გეგმავს 280 000 დოლარის ოდენობით გრანტის გაცემას შემდეგი სადემონსტრაციო ღონისძიებებისათვის ქალაქ ბათუმში.

5. **ბათუმის ავტობუსების პროექტი (მე-2 ფაზა)** ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) გაფორმდა სასესხო და საგრანტო შეთანხმება 10 ერთეული ელექტრო და 20 ერთეული დიზელის საწვავზე მომუშავე ავტობუსების შეძენისათვის, რომლებიც ჩაანაცვლებენ არსებულ მოძველებულ ავტობუსებს, ამჟამად მიმდინარეობს ავტობუსების შესყიდვის პროცედურები.

2016 წელს მერების შეთანხმების ოფისმა ამოქმედა ახალი ინიციატივა „**მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერჯეტიკისათვის**“, რომელზე მიერთება დაგეგმილია 2018-2021 წლების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის **სტრატეგიული განვითარების გეგმით**. აღნიშნული ინიციატივა კლიმატის შერბილების ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებს არსებულ კლიმატთან ადაპტაციის ღონისძიებების გატარების ვალდებულებას. კონკრეტულად, ხელმომწერი მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

- 2030 წლისათვის, მინიმუმ 30%-ით შეამციროს CO₂ -ის (და სხვა სათბური აირების) ემისია საკუთარი ტერიტორიიდან, ენერგოეფექტურობისა და ენერჯის განახლებადი წყაროების ათვისების ღონისძიებების საშუალებით;

- კლიმატის ცვლილების შედეგებთან შეგუებით ამაღლოს მუნიციპალიტეტის მედეგობა.

ამ ინიციატივაზე მიერთების შემდგომ, მუნიციპალიტეტი მოამზადებს საბაზისო ემისიების ინვენტარიზაციას და შეაფასებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ რისკებისა და მოწყვლადობას, ასევე ორი წლის ვადაში წარადგენს მდგრადი ენერჯეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმას.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი მიუერთდეს ხსენებულ ინიციატივას, რადგან ამ

ინიციატივაზე მიერთება და მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის არსებობა ხელს შეუწყობს ენერგოეფექტურობის, ენერჯის განახლებადი წყაროების ათვისებისა და კლიმატის ცვლილების შედეგებთან შეგუების ღონისძიებების დაგეგმვასა და მათ განსახორციელებლად საერთაშორისო დონორი/ფინანსური ორგანიზაციების მხარდაჭერის მოპოვებას/დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიებას, რითაც მიღწეულ იქნება მიზანი - მწვანე ეკონომიკის განვითარება და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება ქალაქში.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ გ ე ს :

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საქალაქო ტრანსპორტი უნდა შეიცვალოს ეკოლოგიურად სუფთა ძრავიანი ავტობუსებით, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე განათების სისტემაც უნდა გადავიდეს ეკოლოგიურად სუფთა განათებაზე, რაზედაც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ თ. პეტრიძემ აღნიშნა, რომ ტენდერი უკვე გამოცხადებულია, მიმდინარეობს საუბარი 10 ავტობუსის შეძენა-შესყიდვაზე. მიმდინარე წელს შემოვა საპილოტედ 10 ელექტროავტობუსი. განათების სისტემას რაც შეეხება მიმდინარეობს ქალაქში არსებული განათებების დიოდურით შეცვლა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 2 (მ. ართმელაძე, ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

ნ.„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის შპს „ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის კლუბი „ბათუმი“-ს დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მ. ქიძინიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილო-ბრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106¹ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიეცეს თანხმობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის კლუბი „ბათუმი“-ს დაფუძნება და ამ მიზნით განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქის სპორტის სახეობების განვითარების გეგმა გადასახედია, სპეციალისტების და ექსპერტების მიწვევით გასაგები უნდა გახდეს რა არის საჭირო სპორტის განვითარებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 3 (რ. ზოიძე, ა. დევაზე, მ. ართმელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15
წინააღმდეგი - 2 (რ. თავართქილაძე, ნ. დუმბაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

**მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

7.„ქალაქ ბათუმში, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩაზე არსებული წრიულიდან გიორგი ანწუხელიძის ქუჩამდე არსებული ქუჩისთვის რეჯებ ნიჟარაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ე. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმის, სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რეჯებ ნიჟარაძე მაღლაკელი თავადის, ბასილი ნიჟარაძის მე-6 თაობაა. პირველდაწყებითი განათლება რეჯებმა სოფელ ხუცუბანში მამის მიერ დაარსებულ სკოლაში მიიღო და სწავლა განაგრძო თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში, აქედან სტავროპოლის გიმნაზიაში გადავიდა, 1901 წელს დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. აჭარის მკვიდრთაგან იგი პირველი იურისტია უმაღლესიგანათლებლით.

ერთხანს მუშაობდა თბილისში სასამართლოს გამომძიებლად, მდივნის თანაშემწედ. შემდეგ გაგზავნეს ბაქოში საოლქო სასამართლოში, აქტიურად მონაწი-

ლეობდა აზერბაიჯანის ქართული სათვისტომოს საქმიანობაში. მეურვეობდა ბაქოს ქართულ სკოლას, სამკითხველოს, თანამშრომლობდა ქართული გაზეთის „მარცვალის“ რედაქციასთან, იყო ქმწ.-კგს-ის ბაქოს განყოფილების ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი სამშენებლო კომისიის წევრი.

1911 წლის ნოემბრიდან რეჯებს დაუსწრებლად ირჩევენ ბათუმის სათათბიროს გამგეობის წევრად და ყველაზე საპასუხისმგებლო დავალებებს აძლევენ: სახალხო განათლება, სათათბიროს ფინანსები და სალარო, ვაჭრობა, კანცელარიაზე, ნოტარიუსზე ზედამხედველობა, საქალაქო უწყებების მომარაგება, ფასებზე კონტროლი, ლომბარდის მართვა და ა. შ. მისი უშუალო თაოსნობით გაიხსნა რამდენიმე სკოლა, ბიბლიოთეკა და სამკითხველო, დახმარება მიიღო თეატრის დასმა.

პირველი მსოფლიო ომის დროს ხელმძღვანელობდა ბათუმის საექიმო-სანიტარულ საბჭოს, ლტოლვილთა განსახლებას.

ომის დამთავრების შემდეგ საქმიანობა განაგრძო სათათბიროში. 1916 წლის 2 მარტს მონაწილეობდა აჭარის დეპუტაციაში, რომელმაც კავკასიის მეფისნაცვალს გააცნო მხარის მოსახლეობის მდგომარეობა და თხოვა მათი მოგვარება. იმავე წელს რეჯები ბათუმის ქალაქის თავის მოადგილედ დანიშნეს.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რეჯებ ნიჟარაძე შეიყვანეს ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს შემადგენლობაში, აგროვებდა სახსრებს პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნის სასარგებლოდ, მჭიდრო კავშირი დაამყარა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან, რომელმაც რეჯები საარჩევნო სიაში შეიყვანა. იყო „სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის“ და აჭარის პირველი მეჯლისის წევრი. კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია ოკუპანტთაგან აჭარის გათავისუფლების და საქართველოს შემადგენლობაში დარჩენისთვის.

საბჭოთა ჯარის მიერ აჭარის დაკავების შემდეგ რეჯებ ნიჟარაძე შეიყვანეს რევკომის შემადგენლობაში, შემდეგ მას იუსტიციის სახალხო კომისრად ნიშნავენ, 1925 წლიდან კი აჭარის სახკომსაბჭოს და მიწსახკომის იურისტკონსულტანტია. კითხულობდა ლექციებს თბილისის სასწავლებლებში. რეჯებ ნიჟარაძე ვერ ასცდა ოცდაათიანი წლების ტრაგედიას. იგი შეიარაღებული აჯანყების მოწყობის და საბჭოთა წყობილების დამხობის ბრალდებით დამნაშავედ ცნეს და მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, რაც 1937 წლის 7 დეკემბერს ბათუმში, სალიბაურში მოიყვანეს სისრულეში.

1956 წელს, სიკვდილის შემდეგ რეჯებმა და მისმა ოჯახმა მიიღო სრული რეაბილიტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებუძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა - 3 (რ. ზოიძე, ა. დევაძე, მ. ართმელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 2 (რ. თავართქილაძე, ნ. დუმბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

**მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.**

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

8. „ქალაქ ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ.N5-ში განთავსებულ ოთარ ჭილაძის მემორიალურ დაფაზე თამაზ ჭილაძის სახელის დამატების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმის, სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქართველი მწერალი, პოეტი და დრამატურგი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიისა და შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი თამაზ ჭილაძე დაიბადა 1931 წელს სიღნაღში. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, შემდეგ კი — ასპირანტურაში. პირველი ლექსი 15 წლისამ დაწერა.

თამაზ ჭილაძე მუშაობდა „ცისკარში“ განყოფილების გამგედ (1958-1964); რუსთაველის პრემიების კომიტეტში — პასუხისმგებელ მდივნად (1964-1972); ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ — მთავარ რედაქტორად (1972-1981), მწერალთა კავშირში-მდივნად (1981-1987); ჟურნალ „მნათობის“ მთავარ რედაქტორად 1997 წლიდან.

თამაზ ჭილაძეს მიღებული აქვს რუსთაველის (1992), სახელმწიფო (1997) და კიდევ რამდენიმე სხვა პრემია, მათ შორის ალექსანდრე ყაზბეგის, აკაკი წერეთლის, გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიები. 1996 წელს დასავლეთ გერმანიის რადიო მაუწყებლობამ მიანიჭა პირველი პრემია პიესისათვის „სამოთხის კვარტეტი“. 1999 წელს კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა 1999-2000 წლების „საერთაშორისო ადამიანის“ წოდების ნომინანტად დაასახელა. 1957-2018 წლებში იყო მწერალთა კავშირის წევრი.

თამაზ ჭილაძე ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა - 3 (რ. ზოიძე, ა. დევაზე, მ. ართმელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 2 (რ. თავართქილაძე, ნ. დუმბაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

9. „ქალაქ ბათუმში, ა. ყაზბეგის ქ.N21-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ჯემალ წულუკიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმის, სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მრავალი საპატიო ჯილდოს მფლობელი ბატონი ჯემალ წულუკიძე, ათეული წლების მანძილზე მუშაობდა (1956 წლიდან 1991 წლამდე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში ჯერ უფროს ეკონომისტად, შემდეგ რევიზორად, განყოფილების უფროსის მოადგილედ, დაზღვევის სამმართველოს უფროსად და ბოლოს მინისტრის პირველ მოადგილედ (1969-1991წწ.).

დაჯილოდებული იყო „ხალხთა მეგობრობის“ ორდენით (1986წ); 1979 წელს მიაკუთვნეს დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება; 1986 წელს საფინანსო ორგანოების წარჩინებული მუშაკის წოდება. მიღებული აქვს ასევე აჭარის მთავრობის არაერთი საპატიო სიგელი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის საპატიო სიგელი და მრავალი სხვა ჯილდო.

გარდაიცვალა 1993 წელს.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა - 3 (რ. ზოიძე, ა. დევაძე, მ. ართმელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11

წინააღმდეგი - 6 (რ. თავართქილაძე, ნ. დუმბაძე, ნ. ზოიძე, ნ. ძიმიგური, თ. კახიძე, ა. მამულაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ თემურ კახიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა სფეროში მუშაობისა და აღნიშნული კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა - 3 (რ. ზოიძე, ა. დევამე, მ. ართმელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

დასადგინეს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მოისმინეს :

11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №70 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ თემურ კახიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა სფეროში მუშაობისა და აღნიშნული კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა - 3 (რ. ზოიძე, ა. დევამე, მ. ართმელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

დასადგინეს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, რომლის მიხედვითაც დადგენილება ბათუმის ბულვარის ტერიტორიის ნაწილზე (ველობილიკი ახალი ბულვარიდან დელფინარიუმის გასწვრივ არსებულ მონაკვეთამდე) ამოქმედდება 2019 წლის 1 დეკემბრიდან, ნაცვლად მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული 1 მაისისა. პროექტის მომზადება განხორციელდა სსიპ „ბათუმის ბულვარის“ წერილობითი მიმართვისა და ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე ელექტრომობილების ბიზნეს-სერვისით დაკავებული სუბიექტების აზრისა და მათი თხოვნის ნაწილობრივ გათვალისწინების საფუძველზე.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა - 3 (რ. ზოიძე, ა. დევაძე, მ. ართმელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვით გამოსვლის უფლება მისცა მოქალაქეს ვალერიან ნებუნიშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ დღეს ქალაქის სიმწვანეზე, ქალაქზე, ჯანმრთელობაზე ისაუბრეთ და მიიღეთ გადაწყვეტილება, მაგრამ რატომღაც ვერ ხედავთ რეალურად განხორციელებულს, ქალაქის ცენტრში შენდება კარბამიდის ტერმინალი, მაგრამ არავის არ გასჩენია პროტესტი. მათ წერილობით მიმართეს საკრებულოს თავმჯდომარეს აღნი-

შნულ საკითხთან დაკავშირებით განხილვების ჩატარების შესახებ, რომელზეც მიიღო პასუხი, რომ იურიდიულდ შეუძლებელი პროცედურა იყო. საკრებულოს წევრებისგან მოსახლეობა ელოდება ინტერესის გამოხატვას. ასევე განაცხადა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარესაც შეხვდა, მიიღეს მზაობა, რომ დაინტერესდებოდა ამ საკითხით, მოიკვლევდა და საფუძვლიანად შეისწავლიდა, თუმცა მეორეჯერ არ შეხვედრია. სტატისტიკით კი დავადებათა რისკი იზრდება.

საკრებულოს წევრმა ლ. სირაბიძემ აღნიშნა, რომ ყველას შესტკივა გული, როგორც ამ ქალაქის მკვიდრებს და ეზრდებათ შვილები. მომავალი თაობა კარგ გარემოში უნდა ცხოვრობდეს. საუბრით შეიძლება ბევრი ვილაპარაკოთ, მაგრამ პრეზენტაციის დროს იქ იმყოფებოდნენ კონკრეტულად ამ ტექნოლოგიური ნაწილის მცოდნე სპეციალისტები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ არანაირი პროცენტული მაჩვენებელი, სახიფათო შემადგენელი ნაწილი ჰაერის დაბინძურებისათვის არ არის. კომპანიამ უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით ჩაატარა პრეზენტაცია, სადაც დეტალურად ისაუბრეს იმ მაღალი ტექნოლოგიების შესახებ, რომელიც გამოყენებული იქნება ტერმინალის მშენებლობის პროცესში.

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმება მომხსენებელს იმ ნაწილში, რომ საკრებულო არ დაინტერესებულა აღნიშნული საკითხით. მან ასევე განაცხადა, რომ თვითონ შეხვდა პორტში ბათუმელებს, ვინც მონაწილეობდნენ აღნიშნული პროექტის თავიდან დაწყებაში. ეს არის მწვანე პროექტი და არ არის ქიმიური ტერმინალი. მაგალითად, ბარსელონაში არის ქიმიური, ცემენტის გადამზიდი ტერმინალი, რიგაში წინა წელს გაიხსნა 60 მილიონიანი ინვესტიციით ქიმიური ტერმინალი და.ა.შ.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სიტყვით გამოსვლის მსურველი ირაკლი ჯანყარაშვილი ისაუბრებს იგივე თემაზე, რომელსაც მოუსმენენ და შემდგომ გაეცემა კითხვებზე პასუხები.

ირაკლი ჯანყარაშვილმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მეორის მიერ ხელმოწერის შემდეგ იმავე დღეს საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე საკრებულოში არაერთი განხილვა ჩაინიშნება, მაგრამ იმის შემდგომ განხილვა არ ჩატარებულა. გამომდინარე აქედან ეს იმას ნიშნავს, რომ მერმა ხელი მოაწერა, მაგრამ საკრებულოს კითხვები გააჩნია.

საკრებულოს წევრმა ნ. მიძიგურმა აღნიშნა, რომ საზოგადოებას დიდი ძალა აქვს და ჩვენ საზოგადოების წარმომადგენლები ვართ შერჩეული საკრებულოში. 18 იანვარს მოეწყო შეხვედრა-პრეზენტაცია ქიმიურ ტერმინალთან დაკავშირებით, რომელიც ელექტრონულად ჩაწერილია. მიმართა მომხსენებელს, რომ ერთობლივად აკონტროლონ მიმდინარე ტერმინალზე პროცესები. აღნიშნა, რომ მათ შეუძლიათ გამოითხოვონ პრეზენტაციის ელექტრონული რესურსი და მოისმინონ.

სხდომის თავმჯდომარემ მომხსენებელს წაუკითხა მის მიერ გაგზავნილი პასუხი, რომლის შესაბამისადაც ზემო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განხილვების ჩატარების შემთხვევაში მათ ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა განხილვის პროცესში.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ბათუმი არის საპორტო ქალაქი, რაც შეეხება კარბამიდს, მას იყენებენ ბოსტნეული კულტურის მოსაყვანად.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ აღნიშნა, რომ თავიდანვე წინააღმდეგი იყო ტერმინალის აშენებისა, იმიტომ რომ დასკვნები არ გააჩნდათ.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე — საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ე. ჭოლიკიძე – საკრებულოს აპარატის იურიდიული
განყოფილების უფროსის მ/შ

მ. თურმანიძე საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი